საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

N 129 18/09/2015

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2015 წლის 15 აგვისტოდან - 15 სექტემბრის ჩათვლით კომისიამ ჩაატარა 1 სხდომა, კომისიის სხდომის დროს განხილული იქნა სამი საკითხი:

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი და მოძრავი საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხს: დ. ჭაკნელიძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 17 აგვისტოს N2131 მომართვაში წარმოდგენილ მოქალაქეებზე მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ძირითადი ქონების გასხვისების მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: დ. ჭაკნელიძე

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 17 აგვისტოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა წერილი, რომლეშიც ითხოვენ ინფორმაციის მიწოდებას მათ შორის ბინათმშენებლობაზეც, კერძოდ:

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ იმ მიწის ნაკვეთებზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე, რომელთა მშენებლობაც დაიწყო და არ დამთავრებულა კოოპერატიული ბინათმშენებლობის ფარგლებში.

კომისიამ პირველ და მეორე საკითხთან დაკავშირებით იმსჯელა და ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებითი თანხების მობილიზების მიზნით

მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული უძრავი და მოძრავი ქონების პრივატიზება აუქციონის წესით.

რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროდან შემოსულ წერილს, კომისიამ ეს წერილი გადაუგზავნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას ზუსტი ინფორმაციის მოწოდების მიზნით.

პასუხად მივიღეთ შემდეგი:

„2015 წლის 26 აგვისტოს წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ მიწის ნაკვეთებზე კოოპერატიული ბინათმშენებლობა არ განხორციელებულა“.

დავით ჭაკნელიძე

კომისიის თავმჯდომარე

აგრარულ საკითხთა,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია